

# კინგის ქართული ენის ოლიმპიადა - II ტური

## XII კლასი

### I სავარჯიშო – ტექსტის გააზრება შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ , ან გ (20 ქულა)

1. პოეტის გზა ოდისევსის გზასა ჰგავს თავისი ხიფათებითა და მოულოდნელობით. ეს გზა პოეტისგან , რა თქმა უნდა , უდიდეს ენერგიასა და თავგანწირვას მოითხოვს , მაგრამ შემოქმედებით მოპოვებული სიამოვნება და სიამაყე იმდენად დიდია და საპატიო, ღირს იმ გზაზე ხეტიალი. მაგრამ პოეტს – ოდისევსს – თავისი პენელოპეც სჭირდება , რომელიც მზადაა უსასრულოდ უცადოს მას და დააფასოს პოეტის აუწონავი შრომა და სამსახური.
  2. პოეტი კი ადამიანის მსგავსია; პოეზია ადამიანის სულის გასუფთავებასა და განათებას ემსახურება.
  3. დღევანდელ მსოფლიოს განსაკუთრებით სჭირდება თბილი და აზრიანი სიტყვა პოეტისა, რათა უფრო მშვიდად და გონივრულად განსჭვრიტოს მომავალი.
  4. ქართული თანამედროვე პოეზიის მიზანიც ესაა. თქვას მართალი, სწორი, ჭეშმარიტი სიტყვა. მას ხალხის გაცნობისა და დაახლოების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის.
  5. ჭეშმარიტ პოეზიას მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია. მასვე შესწევს ძალა დიდი წვლილი შეიტანოს მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის (ჰუმანიზმის) საქმეში.
  6. პოეტობა პროფესიაა, ხოლო პროფესია თუ რამეს არ ემსახურება– არ არსებობს. პოეზია ადამიანის სულის გაწმენდასა და განათებას ემსახურება და თუ პოეტი გქვია, გინდა თუ არა, შენც ამ საქმეს უნდა ემსახურო.
1. **რა არის მთავარი სათქმელი პირველი აბზაცის მიხედვით?**
    - ა) რომ პოეტის გზა ოდისევსის გზაა;
    - ბ) რომ პოეტი მარტოსული დახეტიალობს შემოქმედებით გზაზე;
    - გ) რომ პოეტს ხშირად სიამაყე ძლევს ხოლმე;
  2. **რას მოითხოვს პოეტის გზა პოეტისაგან?**
    - ა) უდიდეს სიყვარულს;
    - ბ) ენერგიასა და თავგანწირვას;
    - გ) ბრძოლასა და ენერგიას;
  3. **მეორე აბზაცის მიხედვით რას ემსახურება პოეზია?**
    - ა) ადამიანის სულის გასუფთავებასა და განათებას;
    - ბ) პოეტს ადამიანად აქცევს;
    - გ) პოეტის სულიერ სიმტკიცეს;
  4. **მესამე აბზაცის მიხედვით რა სჭირდება დღეს მსოფლიოს?**
    - ა) პოეტის მხარდაჭერა;
    - ბ) პოეტის თბილი და აზრიანი სიტყვა;
    - გ) პოეზიის ადამიანის სამსახურში ჩადგომა;
  5. **რა კავშირებს I , II და III აბზაცს ერთმანეთთან?**
    - ა) III აბზაცი არ უკავშირდება I და II აბზაცს ;
    - ბ) II აბზაცი უმნიშვნელოს ხდის I აბზაცში დასმულ პრობლემას;
    - გ) III აბზაცი აკონკრეტებს I და II აბზაცში დასმულ პრობლემას;
  6. **რა არის მე-4 აბზაცის ფუნქცია?**
    - ა) ისაუბროს თანამედროვე ქართული პოეზიის მიზანზე;
    - ბ) ხალხის გაცნობაა მთავარი საზოგადოებისთვის;
    - გ) პოეზიამ მხოლოდ ჭეშმარიტი სიტყვა თქვას;
  7. **რა არის მე-5 აბზაცის მთავარი სათქმელი?**
    - ა) განსაზღვროს პოეზიის დანიშნულება;
    - ბ) ისაუბროს პოეზიაზე, როგორც სიკეთის მსახურზე;
    - გ) ისაუბროს პოეზიაზე, რომელიც ხალხის ნებას გამოხატავს;

**8. რას უნდა ემსახუროს პოეზია მე-5 აბზაცის მიხედვით?**

- ა) პოეზია მშვიდობას ემსახურება;
- ბ) პოეზია მშვიდობას, სიკეთესა და კაცთმოყვარეობის სამსახურში დგას;
- გ) პოეზიის მიზანი მხოლოდ სიკეთის სამსახურია

**9. რა არის მე-6 აბზაცის სათქმელი?**

- ა) პოეტობა პროფესიაა, რომელიც ადამიანის სულის გაწმენდასა და განათებას ემსახურება
- ბ) პოეტობა პროფესიაა, რომელზეც ხელი ყველას მიუწვდება
- გ) პოეტობა პროფესიაა, რომლითაც ქართველი ერი არსებობს

**10. რა არის წერილის მთავარი სათქმელი?**

- ა) ისაუბროს პოეზიაზე, როგორც შემეცნებით საშუალებაზე
- ბ) ისაუბროს პოეზიაზე, რომელიც ადამიანის გაკეთილშობილების საშუალებაა
- გ) პოეზია პოეტის სულის ნაწილია, რომელიც ადამიანის სამსახურში დგას

**II სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ, ან გ (20 ქულა)**

*“სუსტი ყოფილა ადამიანი, რადგან არ იცის, როგორ იმართლოს თავი“*

**11. როგორია ეს წინადადება აგებული მის მიხედვით?**

- ა) რთული ქვეწყობილი; ბ) რთული თანწყობილი; გ) შერწყმული;

**12. რამდენი წინადადებისგან შედგება მოცემული წინადადება?**

- ა) სამი; ბ) ოთხი გ) ორი

**13. რომელია მათგან მთავარი?**

- ა) პირველი ბ) მეორე გ) მესამე

**14. რა სახისაა I დამოკიდებული წინადადება?**

- ა) მიზეზის გარემოებით დამოკიდებული ბ) მიზნის გარემოებითი გ) ქვემდებარული

**15. რამდენი ქვემდებარე მოცემულ წინადადებაში?**

- ა) ერთი ბ) ორი გ) არც ერთი

**III სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ, ან გ (60 ქულა)**

**16. „ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჰღება“. რომელ ბრუნვაში დგას პირველი სიტყვა?**

- ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში

**17. რომელია პირველი სიტყვის ბრუნვის ნიშანი?**

- ა) მან ბ) ნ გ) მა

**18. მოქმედია თუ არა „მან“ ბრუნვის ნიშანი დღეს?**

- ა) დიახ ბ) არა გ) ეს ფორმა არასდროს არ არსებობდა

**19. „შეჰღება“ სწორია თუ არა ეს ფორმა?**

- ა) სწორია ბ) არ არის სწორი გ) ეს ფორმა საერთოდ არ იხმარება

**20. შეუწყვეთ პირები „შეჰღება“ ზმნას. შემოხაზეთ სწორი ფორმა:**

- ა) შეჰღება (მან ის) ბ) შეჰღება (ის მან) გ) შეჰღება (მან)

**21. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით შესაბამისი ნაწილაკი:**

*„მეც არ გამიკვირდა, გლეხი როგორ გაამტყუნა ....“*

- ა) მეთქი ბ) თქო გ) ო

**22. რომელ წინადადებაში არ არის დაშვებული სტილისტური შეცდომა?**

- ა) საშინელი ნოსტალგიით ენატრებოდა თავისი პატარა შვილი.
- ბ) სოფელს ორივე მხრიდან ქვიანი რიყე ახლავს.
- გ) ქართული სალიტერატურო და სამწერლობო ენაა.

23. ტექსტში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან შემოხაზეთ უფრო შესაფერისი.

*ქალაქი საუკეთესო საწერ (1) .... წარმოადგენს. იგი ჩინეთში გამოიგონეს, არაბებმა კი მისი დამზადების ტექნოლოგია გააუმჯობესეს. მათ გამოიყენეს უფრო (2) ..... წებო. IX საუკუნიდან იგი ჩვენს ქვეყანაშიც დამკვიდრდა და (3) .... სხვა საწერი საშუალებები.*

- |    |             |            |                |
|----|-------------|------------|----------------|
| ა) | 1. მასალას; | 2. მაგარი  | 3. გამოდევნა   |
| ბ) | 1. ნედლეულს | 2. მკვიდრი | 3. გამოაგდო    |
| გ) | 1. წყაროს   | 2. მკვრივი | 3. გამოაბრძანა |

24. რომელია კრებითი სახელი:

- ა) ფარა                                      ბ) ბედნიერება                                      გ) შაქარი

25. რა სახის სინტაქსური ურთიერთობაა ხაზგასმული სინტაქსური წყვილის წევრებს შორის?

*მაგდანა წვრილშვილის პატრონი იყო. ერთგულმა ქალმა სინდის–ნამუსი შეინახა და ოჯახს არ უღალატა. მისი ერთადერთი ძროხა ქმრის დამარხვას მოუწია.*

- ა) შეთანხმება                                      ბ) მართვა                                      გ) მირთვა

26. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

- ა) პაპამ შვილიშვილს ძირს დაყრილი ღილები ააბოჭვინა.  
ბ) პაპამ შვილიშვილს ძირს დაყრილი ღილები ააკრეფია.  
გ) პაპამ შვილიშვილს ძირს დაყრილი ღილები ააკრეფინა.

27. ჩასვით შესაბამისი ზმნიზედის მართებული ფორმა: „.....არაფერი ისმის.“

- ა) იქედან                                      ბ) იქიდან                                      გ) იქეთ

28. რამდენი მძიმეა გამოტოვებული წინადადებაში? „ჩემი აზრით ყველაფერი კარგად იქნება“.

- ა) ერთი                                      ბ) ორი                                      გ) სამი

29. რამდენ წინადადებაშია შეცდომა დაშვებული?

1. ჯერ კვერცხს ვთქვიფავთ და მერე შაქარს ვუმატებთ.  
2. ტიციანი სიმბოლისტ პოეტთა გაერთიანება „ცისფერი ყანწების ორდენის“ წევრი იყო.  
3. იგი მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში.“

- ა) ერთში                                      ბ) სამში                                      გ) ორში

30. რომელ სერიას განეკუთვნებიან მოცემული ზმნები? გაუქლიბავს, დამელაგებინა, მოუხნავს

- ა) I სერიას                                      ბ) II სერიას                                      გ) III სერიას

**ბონუს– სავარჯიშო: შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა,ბ ან გ (15 ქულა)**

1. რომელია მცდარი ფორმა?

- ა) მეგობრისთვის                                      ბ) მეგობრისათვის                                      გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

2. ფუძეთანხმოვნიათ სახელი არ შეიძლება იყოს :

- ა) კუმშვად–კვეცადი                                      ბ) კუმშვადი                                      გ) უკუმშველი

3. ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი ფორმა?

- ა) ლირიკური                                      ბ) ამნისტია                                      გ) ფუნდამენტალური

4. რომელია კრებითი სახელი?

- ა) სასახლე                                      ბ) ფარა                                      გ) ტყე

5. რომელია წყვეტილის მწკრივის ფორმა?

- ა) ვსწავლობდი                                      ბ) ვისწავლი                                      გ) ვისწავლე